შ.პ.ს. „ჰიდროგეოპროექტი“ - L.T.D. „HIDROGEOPROJECT“

205175415

№09-2/24 „05“ ივნისი 2024 წ.

ტექნიკური დასკვნა ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №14, ს/კ: 01.19.35.001.021-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ზეგავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის №14-ში (ს/კ:01.19.35.001.021), შ.პ.ს. „გრადბურგ დეველოპმენტი ისანი“-ს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი აქვს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში, ჩარჩოს პილონების განივი კვეთები იცვლება სიმაღლის მიხედვით: LxB=80x40 სმ. (ორი სართული); LxB=60x40 სმ. (ოთხი სართული); LxB=40x40 სმ. (სამი სართული). შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით ღერძებში ℓ×b=50.00×16.10 მ. გადახურვად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (მონოლითური რიგელები) ფილები, სისქით h=16 სმ; ხოლო მონოლითური რიგელები, განივი კვეთებით: BxH=400×500 მმ; (მ.რ.-1) BxH=200×500 მმ; (მ.რ.-2). საძირკველი მთლიანკვეთიანი რკინაბეტონის ფილა, სისქით h=80 სმ

მოსაზღვრე ნაკვეთები

ჩრდილოეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მოხრეშილი საავტომობილო გზა, საპროექტო შენობიდან გზამდე მანძილი შეადგენს 18 მ.-ს.

აღმოსავლეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთი (ს/კ: 01.19.35.001.089), მასზე განთავსებულია ორ სართულიანი სარდაფის მქონე შენობა, საპროექტო შენობიდან არსებულ შენობამდე მანძილი შეადგენს 6 მ.-ს.

სამხრეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება საავტომობილო გზა (ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა), საპროექტო შენობიდან არსებულ გზამდე მანძილი შეადგენს 8.50 მ.-ს.

დასავლეთი - საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთები (ს/კ: 01.19.35.001.157, ს/კ: 01.19.35.001.020 და ს/კ: 01.19.35.001.022), ნაკვეთებზე ს/კ: 01.19.35.001.157 და ს/კ: 01.19.35.001.020 განთავსებულია ერთ სართულიანი შენობები, რომელიც უშუალო მახლობლობაში არიან საპროექტო მიწის ნაკვეთთან. ს/კ: 01.19.35.001.022-ზე ასევე არსებობს ერთ სართულიანი შენობა, საპროექტო შენობიდან არსებულ შენობამდე მანძილი შეადგენს 14 მ.-ს.

საპროექტო შენობის მშენებლობისათვის დასამუშავებელი ქვაბულის კიდეები უშუალოდ უახლოვდება დასავლეთით მოსაზღვრე ნაკვეთებს (ს/კ: 01.19.35.001.157 და ს/კ: 01.19.35.001.020) და მასზე განთავსებულ ერთ სართულიან შენობას. იმისათვის, რომ მოცემული მიმართულებით მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ზემოაღნიშნული შენობის და ქვაბულის ფერდების მზიდუნარიანობა და უსაფრთხოება, პროექტის ავტორების მიერ დამუშავებულია ქვაბულის გამაგრების პროექტი, რომელიც გულისხმობს ქვაბულის ხიმინჯების მოწყობას დიამეტრით 20სმ. ხიმინჯების გეომეტრიულ ცენტრებს შორის მანძილი მიღებულია 40სმ. ხიმინჯების საორიენტაციო სიგრძე 460სმ.-ია. ხიმინჯების თავები გაერთიანდება მონოლითური რკინაბეტონის კოჭით, რომელიც უზრუნველყოფს ხიმინჯების ერთდროულ მუშაობას.

დასკვნა:

შ.პ.ს. „ჰიდროგეოპროექტი“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შესაძლებელია. იმისათვის, რომ ნულოვანი ციკლის მოწყობისას სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ არ მიაყენოს ზიანი ირგვლივ, მეზობლად მდებარე შენობებს (გამოკვლევა და შეფასება ჩატარდა არანაკლები 20მ. მანძილით დაცილებული სამშენებლო ობიექტებისათვის), აუცილებელია ქვაბულის ხიმინჯების მოწყობა მოცემული ნახაზების მიხედვით.

საპროექტო შენობის მშენებლობა არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას მეზობლად მდებარე შენობებსა და საავტომობილო გზებზე, როგორც მშენებლობის პერიოდში, ასევე ექსპლოატაციის მთელი ვადის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”ჰიდროპროექტი”-ს
დირექტორი /ნ. ქიქავა/